93 წლის წინ, 1933 წლის 2 აპრილს დაარსდა გაზეთების: „თერჯოლის“, „წინსვლის“ და „საკოლმეურნეო სოფლის“ წინამორბედი—გაზეთი „ჩხარის კოლმეურნე“.

93 წელი თქვენთან ერთად!

„არს მთის კალთას, სკანდას, სასახლე მეფეთა და ციხე დიდი, დიდშენი“
ვახუშტი ბაგრატიონი

Facebook გაზეთი თერჯოლა
www. nplg. gov. ge
www. terjola. gov. ge

თერჯოლა

საზოგადოებრივი გაზეთი ● გამოდის 1933 წლიდან ● №11 (7158) 1 ივნისი 2026 წელი

რწმენა გვაძლიერებს, სიყვარული გაგვაერთიანებს!

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის დღე ● საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადების 1700 წლისთავი

17 საუკუნის წინ, 326 წელს, საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო რელიგიად გამოცხადდა.

ჩვენი ქვეყნის ისტორიის სწორედ ეს მნიშვნელოვანი მოვლენა იყო წლევანდელი დამოუკიდებლობის დღის აღნიშვნის მთავარი კონცეფციის „1700 წელია რწმენა გვაძლიერებს, სიყვარული გვაერთიანებს“ საფუძველი. ეს დღე, 26 მაისი, სრულიად საქართველომ ღირსეულად აღნიშნა.

გამორჩეული იყო ეს დღე, საქართველოს 20 ქალაქში, ჩვენი ქვეყნის ტერიტორიის 12 მნიშვნელოვან ისტორიულ-კულტურულ ძეგლებთან, საუკუნოვან ეკლესია-მონასტრებთან, სწორედ იქ, ჩვენს წმინდა სალოცავებთან დადეს სამშობლოს მსახურების და ერთგულების ფიცი რეკრუტებმა—ქვეყნის პატრიოტმა ახალგაზრდებმა, ქართული ჯარის ღირსეულმა შევსებამ.

რა თქმა უნდა, 26 მაისის მთავარი ეპიცენტრი თბილისი—საქართველოს დედაქალაქი იყო.

აქ, თავისუფლების მოედანზე, გაიმართა დღის მთავარი ღონისძიება, საზეიმო აღლუმი. სრულიად საქართველოს, ერსა და ბერს, ქართულ ჯარს, ახალფიცდადებულთ, სტუმრებს მიესალმნენ საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ ყაველაშვილი, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი შიო III, მთავრობის მეთაური ირაკლი კობახიძე, პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი.

თბილისის სხვადასხვა ლოკაციებზე გაიმართა საინტერესო კულტურულ-მასობრივი ღონისძიებები. ზეიმზე მოსულთ, განსაკუთრებით ახალგაზრდებს და ბავშვებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ჩვენი ჯარის შეიარაღებაში არსებულ ტექნიკას და აღჭურვილობას.

26 მაისი თერჯოლაში

გარდა თბილისისა და სხვა 20 ქალაქისა, სადაც ღონისძიებებში ჩართული იყვნენ საქართველოს სხვადასხვა სამინისტროები და სააგენტოები, როგორც სხვა ისე თერჯოლის მუნიციპალიტეტში საინტერესოდ იყო დაგეგმილი ეს დღე. მართალია, უამინდობამ მასში კორექტირება შეიტანა, მაგრამ ყველა მნიშვნელოვანი აქტივობა მაინც ორგანიზებულად ჩატარდა. გულდასაწყვეტად შეიძლება ის დაგვრჩეს, რომ ღია ცის ქვეშ, ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერში ვერ შედგა გადაუღებელი წვიმების გამო, თუმც სანაცვლოდ, ზეიმზე მოსულთ და მონაწილეთ თერჯოლის სპორტის სასახლემ და კულტურის სახლმა უმასპინძლეს.

ხაგზასასმელია, რომ თერჯოლაში ყველა ღონისძიება ადგილობრივი ძალების მონაწილეობით მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის ორგანიზებით ჩატარდა.

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თერჯოლაში ჩატარებულ ამ დღისადმი მიძღვნილ სხვადასხვა სახის ღონისძიებებში აქტიურად ჩაერთო თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე.

26 მაისის პროგრამა სკანდის ისტორიულ ციხეზე საზეიმო მსვლელობით დაიწყო, სადაც ხელმძღვანელმა პირებმა სახელმწიფო დროშა აღმართეს.

მსვლელობის შემდეგ, თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა, მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად გვირგვინით შეამკო გმირთა დიდების მემორიალი და მოსახლეობას დამოუკიდებლობის დღე მიულოცა.

ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ასევე პატივი მიაგეს ეროვნული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერის ვანო ხუხუნაიშვილის ხსოვნას და მისი საფლავი ყვავილებით შეამკეს.

თერჯოლაში 26 მაისისადმი მიძღვნილი ღონისძიებები სპორტის სასახლეში სპორტული ტურნირებით გაგრძელდა. დაჯილდოვდნენ ტურნირში გამარჯვებულები.

ღონისძიებები კი კულტურის სახლში მოწყობილი კონცერტით დასრულდა, რომელშიც ადგილობრივი ანსამბლები და სკოლის მოსწავლეები მონაწილეობდნენ.

ამბები თერჯოლის მუნიციპალიტეტიდან

წლის მეხუთე თვე და გაზაფხულიც უკან მოვიტოვეთ. მაისი უჩვეულოდ ხშირი წვიმებით იყო გამორჩეული. ზარალი მიადგა ინფრასტრუქტურას, ნახნავ-ნათესებს.

ასეთ, პირობებში ოპერატიულად მუშაობდნენ მუნიციპალური სამსახურები. უამინდობის მიუხედავად მცირედი შესაძლებლობის გამოჩენისთანავე მუშაობა გრძელდებოდა ახალ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე.

მაისის თვე განსაკუთრებით იყო დატვირთული მასობრივი კულტურულ-საგანმანათლებლო, სპორტული და მნიშვნელოვანი დღეების აღსანიშნავი ღონისძიებებით. მაღალ დონეზე მოეწყო ბოლო ზარის დღე და სხვა მრავალი არაერთი აქტივობა, რაც მათი ორგანიზატორების დამსახურებაა.

ბუნებრივია, ჩვენ ყველაფერს, ის რაც მაისში მოხდა, ფართო ფორმატით ვერ გავაშუქებთ, მაგრამ მცდელობა რომ არ დაგვიკლია, იმედია ამას მკითხველიც კარგად ხედავს.

ბოლო ზარი დარეკილია

თერჯოლის მუნიციპალიტეტის 264 კურსდამთავრებულისათვის 2025-2026 სასწავლო წლის 20 მაისი განსაკუთრებულ დღედ დარჩება. მთავრდება მათი ცხოვრების მნიშვნელოვანი ეტაპი და იწყება ახალი—სისხლსავსე, მჩქეფარე, ათასგვარი მოლოდინებით სავსე.

ბოლო ზარი დარეკილია. კურსდამთავრებულებს შვენოდათ თეთრი, ქათქათა პერანგები, მასზე სხვადასხვა ფერის წარწერებით, საუკეთესო სურვილებით.

****

სექტემბერში, როცა კვლავ განახლდება სწავლა საჯარო სკოლებში, როცა კვლავ ახმიანდება სკოლის ზარი, ის მათ აღარ მოუხმობთ, მაგრამ მოუხმობთ უფრო ძლიერი, ყოვლისმომცველი ზარი!...

...მონახე შენი თავი და ადგილი ცხოვრებაში, განსაზღვრე საქმიანობის სფერო, ნუ იცხოვრებ მარტო პირადი ინტერესებით, ნუ იქნები სურვილების ტყვე, იფიქრე სხვებზეც, იმაზე რა აკეთო, როგორ აკეთო და გაიმარჯვო, როგორ გამოადგე საკუთარ თავს და სხვებს... ☞3

ძვირფასო ახალგაზრდებო,

დღეს თქვენს ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე ემოციური და დასამახსოვრებელი დღეა, დღეს ბოლო ზარი ირეკება. თქვენ ტოვებთ სკოლის კედლებს, სადაც არაერთი ბედნიერი წუთი, მეგობრობა, გამოცდილება და მოგონება დაგიგროვდათ. ეს წლები ყოველთვის განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს თქვენს გულებში, რადგან სწორედ აქ დაიწერა თქვენი ცხოვრების ყველაზე ლამაზი და დაუვიწყარი ისტორიის პირველი თავი.

გილოცავთ ამ მნიშვნელოვან დღეს!

გისურვებთ ბედნიერ, საინტერესო და სიყვარულით სავსე ცხოვრებას, დაუღალავ წინსვლას, გაბედულ ოცნებებსა და იმ მიზნების ასრულებას, რომლებიც დღეს თქვენს გულებში ცხოვრობს.

ხვალიდან თქვენს ცხოვრებაში სრულიად ახალი ეტაპი იწყება, მეტი შესაძლებლობებით, ახალი ადამიანებით, გამოცდილებებითა და თავგადასავლებით. წინ დიდი მიზნები, გამოწვევები და გამარჯვებები გელოდებათ. მჯერა, რომ ცოდნის მიღებისა და განვითარების სურვილი არასოდეს გაგინელდებათ, საკუთარი შრომითა და პროფესიონალიზმით კი მნიშვნელოვან წვლილს შეიტანთ ჩვენი ქვეყნის კეთილდღეობაში.

გახსოვდეთ, რომ თითოეული თქვენგანი ჩვენი საზოგადოების და ქვეყნის იმედია. სწორედ თქვენზეა დამოკიდებული ხვალინდელი დღე!

პატივისცემით,
მანუჩარ რობაქიძე,
თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერი

ღვანკითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

საქართველოს ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვანკითის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია დაასრულა.

დასრულებულ სამუშაოებს ადგილზე მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი გაეცნო.

ახალი სასწავლო წლიდან ღვანკითელები ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვე შენობაში ისწავლიან!

ეროვნული სამოსის დღე

18 მაისს საქართველოში ეროვნული სამოსის დღე აღინიშნა, რომელსაც ფართომასშტაბიანი აქტივობით თერჯოლის მუნიციპალიტეტიც შეუერთდა და ყველა თაობის ადამიანებისათვის დიდ ზეიმად იქცა.

მოსწავლე-ახალგაზრდობამ და საზოგადოების წარმომადგენლებმა დილიდან იწყეს ქალაქის ცენტრში არსებულ ღვთისმშობლის ხარების სახელობის ტაძართან შეკრება, შემდეგ კი მსვლელობით ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერისაკენ გადაადგილება. ეროვნული სამოსი და ეროვნული სამოსის სიმბოლოები ამშვენებდა თითოეული მონაწილის ჩაცმულობას, რაც ერთგვარ საზეიმო იერს და სილამაზეს სძენდა ღონისძიებას.

საზეიმოდ იყო მორთული ლაშა გოგიაშვილის სკვერი და ამფითეატრის შემოგარენი, სადაც გამოფენილი იყო თერჯოლის სამხატვრო-საგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეთა ნამუშევრები, აგრეთვე თერჯოლელი მეწარმეების ხელნაკეთი სხვადასხვა სახეობის ნიმუშები, საქართველოს სხვადასხვა კუთხეების სამოსი და ეთნოგრაფია თავის ხიბლს სძენდა გარემოს. შთამბეჭდავი იყო თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის მიერ წარმოდგენილი კუთხე და მოსწავლეთა მხატვრული მონტაჟი. ყოველივე ამას ღონისძიების მონაწილენი დიდი ინტერესით ათვალიერებდნენ.

შემდეგ კი ამფითეატრის სცენაზე გაიმართა კონცერტი ადგილობრივი ანსამბლებისა და მუნიციპალიტეტის რიგ საჯარო სკოლების მოსწავლეთა ჩართულობით.

მაყურებლებს საინტერესო და მაღალ დონეზე მომზადებულ არაერთ ნომრებს სთავაზობდნენ: ქორეოგრაფიული ანსამბლები: „იმერეთი“, „ჯეოგენი“ ხელმძღვანელები: ირინა ბუცხრიკიძე, გოჩა და გიორგი ჭანკვეტაძეები. მომღერალთა ანსამბლი „მასპინძელო“, ხელმძღვანელი ინეზა ბუცხრიკძე, მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ბავშვთა ფოლკლორული ანსამბლი

„იმედი“, ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე, ქალთა ვოკალური ანსამბლი „იამე“, ხელმძღვანელი გულთამზე კუბლაშვილი.

თუზის საჯარო სკოლასთან არსებული ქორეოგრაფიული ანსამბლი „შევარდენი“, ცეკვა „ქალაქურით“—კერძო სკოლა „მზეკაბანის“ პედაგოგები, მუსიკალური კომპოზიცია: „აფხაზეთი“ და ცეკვა „აფხაზურით“ თერჯოლის №1 საჯარო სკოლა, სიმღერებით, ალისუბნის №2 და ეწრის საჯარო სკოლებში. ღვანკითის საჯარო სკოლის მოსწავლეები: მარიამ ქურცაძე და მარიამ ზარნაძე, ლექსები წაიკითხეს თერჯოლის №2 საჯარო სკოლის მოსწავლემ ლუკა ჩანთაძემ და ძევრის საჯარო სკოლის მოსწავლემ ალექსანდრე გუგულაშვილმა.

ეროვნული სამოსის დღე თერჯოლელებს და სრულიად საქართველოს მიულოცეს თერჯოლისა და ტყიბულის ეპარქიის მიტროპოლიტმა, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ და საკრებულოს თავმჯდომარემ სოსო ჩაფიჩაძემ.

კონცერტის დასასრულს იყო ფოიერვერკებიც და მონაწილეთა დაჯილდოება.

ღონისძიება, რომელიც ნანა ამირანაშვილს მიჰყავდა საინტერესოდ მოუთხრობდა დამსწრე საზოგადოებას ქართული სამოსის ისტორიასა და მისი მნიშვნელობის თაობაზე.

ეს იყო ღონისძიება, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის მხარდაჭერით და მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდული სამსახურის ორგანიზატორობით გაიმართა და საყოველთაო მოწონება დაიმსახურა. 18 მაისი, ქართული სამოსის დღე, ერთ-ერთ ლამაზ დღედ დარჩება მონაწილეთა და მაყურებელთა მეხსიერებაში.

მზია ცქიფურიშვილი

ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზა

თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერმა მანუჩარ რობაქიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძესთან ერთად, ზედა საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში, საგზაო ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობის სამუშაოები დაათვალიერა. მუნიციპალიტეტის მერმა, საქმის მწარმოებელი კომპანიის წარმომადგენლებისგან მიიღო ინფორმაცია, მიმდინარე საგზაო პროექტის მიმდინარეობის დეტალების შესახებ.

რეგიონული განვითარების ფონდიდან, ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით თერჯოლის მუნიციპალიტეტის ზედა საზანოს ადმინისტრაციულ ერთეულში მიმდინარეობს ჩიხორი-შიმშილაქედის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია არმირებული ბეტონის საფარით. პროექტის ფარგლებში მოეწყობა კილომეტრამდე გზა, რომლითაც 1000-ზე მეტი ადგილობრივი ისარგებლებს. პროექტის ღირებულება შეადგენს 150 000 -მდე ლარს.

შეხვედრაში ზედა საზანოს მაჟორიტარი დეპუტატი დავით გოგბერაშვილი და მერის წარმომადგენელი, გიორგი ჩუბინიძე მონაწილეობდნენ.

შეცდომის გასწორება

„თერჯოლის“ 2026 წლის 15 მაისის ნომერში, ტექნიკური მიზეზების გამო დაშვებულია უზუსტობა—პუბლიკაციაში, „თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოში“ მე-3 გვერდის პირველ აბზაცში გვარი „ბუცხრილიძე“ უნდა იკითხებოდეს „ბუცხრიკიძე“-დ.

ბოლო ზარი დარეკილია

2☞

მუნიციპალიტეტის კერძო და ყველა საჯარო სკოლაში მაღალ დონეზე ჩატარდა ამ დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები და როგორც ყოველთვის, ბოლო ზარის ზეიმში კურსდამთავრებულები თავად იღებდნენ მონაწილეობას, სული და გული ჩადეს ამ ზეიმში, რათა გამორჩეული ყოფილიყო ეს დღე და არა მარტო მათთვის.

***

წვიმიანი დღეები იდგა, მაგრამ მზიანი იყო 20 მაისი. კულტურის და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზები თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლებმა, ხოლო ლაშა გოგიაშვილის სახელობის სკვერი ღვანკითის სკოლამ დაიკავა.

***

სამივე სკოლის ზეიმი ერთმანეთისაგან განსხვავებული იყო, მაგრამ ჰქონდათ საერთოც: ამაღლებული განწყობილება, სიხარული ცხოვრების დიდ გზაზე გამოსვლის და ერთგვარი სევდა ბედნიერ ბავშვობასთან დამშვიდობების გამო, რომ დატოვეს სკოლა, პედაგოგები, სხვა კლასელები, რომ აღარ ექნებათ ყოველდღიური ურთიერთობა.

***

დილიდანვე ხალხმრავლობა იყო თერჯოლის ცენტრში. აქ მოვიდნენ სოფლების საჯარო სკოლების კურსდამთავრებულები. ახალგაზრდები ერთმანეთს ეცნობოდნენ, აზრს უზიარებდნენ, მომავალზე მსჯელობდნენ...

განსაზღვრულ, მაგრამ სხვადასხვა დროს თერჯოლის №1 და №2 საჯარო სკოლის კურსდამთავრებულებმა და ღონისძიების დასწრების მსურველებმა დარბაზებში გადაინაცვლეს, ღვანკითელები სკვერში დარჩნენ, აქ ყველა რიგი დაკავებული იყო, ბევრი ფეხზე იდგა. ვერც დარბაზებმა დაიტია ხალხი.

თერჯოლის №1 საჯარო სკოლა

კურსდამთავრებულებმა, ლამაზად მორთულ სცენიდან თქვეს, რომ

დიდხანს ფიქრობდნენ ბოლო ზარის „ციებ-ცხელებაზე“, როგორი იქნებოდა იგი, რით მოხიბლავდნენ დამსწრეთ. ამ თემაზე დიალოგი იუმორის სახით წარმოადგინეს. ლამაზი სანახავი იყო კურსდამთავრებულთა მიერ ფორმების გარეშე შესრულებული ცეკვები. სიყვარულით მიმართეს პირველ მასწავლებელს მაია კუტალაძეს და სცენაზე მიიწვიეს. ამაღელვებელი იყო ქალბატონი მაიას სიტყვა „როგორ შეიძლება ასეთი მოსწავლეები გყავდეს და ბედნიერი არ იყო“—თქვა და ხელთ ჰქონდა თითოეულ მათგანზე შედგენილი სამახსოვრო.

კურსდამთავრებულთა სახასიათო კურიოზებს, სკეტჩს, პირველი საინფორმაციო ეთერი—თერჯოლა ნიუსი, მხიარული განწყობა მოჰყვა. წლების მანძილზე დაკვირვებით და თითოეულის ხასიათიდან გამომდინარე გამოავლინეს ნომინაციაში გამარჯვებულები: კლასის ჩუმალები, კლასის თავი ქალი, მეიგავე, ყველგან ნამყოფი, შერლოკ ჰოლმსი, კლასის ყულაბა, პატარა კაცი დიდი გულით, ყველაზე მორცხვი და სხვა.

სცენაზე მიიწვიეს კლასის ხელმძღვანელი ლელა მაკარიძე, დირექტორი ელისო მურადაშვილი, პედაგოგები: რუსუდან ბოგვერაძე, თეა მაცაბერიძე. მამა-შვილის ლიზი და ზურა ცქიფურიშვილების სიმღერამ მოწონება დაიმსახურა, მიიღეს კიდეც წითელი, ხასხასა ვარდების დიდი შეკვრა. კურსდამთავრებულებს მიმართა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დირექტორმა ნათია მოსიაშვილმა.

თერჯოლის №2 საჯარო სკოლა

ეკრანზე უჩვენეს კლასების კურსდამთავრებულთა პატარაობის და ბოლო ზარამდე რამდენიმე დღის წინ გადაღებული სურათები, ეს სკოლის 49-ე გამოშვებაა და ითქვა, ორივე კლასი საუკეთესო იყო. ღონისძიებაში ყველა იყო ჩართული და აქტიურად. ცეკვების შესრულებისას ნამდვილი ცეცხლი ენთო სცენაზე (ქორეოგრაფი თამუნა ჭანკვეტაძე). მერე სცენა დაიკავეს დედებმა და შვილებმა. ისაუბრეს დედა-შვილობის მადლზე, ოჯახურ ღირებულებებზე, მის სიწმინდეზე. ეკრანზე აჩვენეს საქართველოს მხარეები, მონატრებული აფხაზეთი და სამაჩაბლო. ისაუბრეს მიწის, წყლის, მზის, წვიმის სასწაულებზე, სამშობლოზე. ღონისძიების ამ მონაკვეთს მოუხდა ცეკვა ოსური. წაიკითხეს პირველი მასწავლებლის ირმა მაკარიძის წერილი, მადლობა უთხრეს ნონა კუპატაძეს, დამრიგებლებს მზია მაკარიძეს, მირანდა დევიძეს.

კურსდამთავრებულებს მიმართა სკოლის დირექტორმა ფიქრია დემეტრაშვილმა, პედაგოგმა რუსუდან უსუფაშვილმა.

განსაკუთრებული მაინც ფილმი იყო, თერჯოლაში, ჩვენთვის ნაცნობ შენობებში თუ სანახებში, კურსდამთავრებულთა მონაწილეობით გადაღებული კინო-კადრებით გაგვახსენეს ქართული ფილმი—„ყველაზე სწრაფები მსოფლიოში“. ყველაფერი ისე იყო, როგორც ეს ამ

ცნობილ ფილმშია.

თერჯოლის №2 სკოლელებს უყვართ ასეთი გადაღებები, ეს პირველი არ არის, ასე იყო წინა წლებში და ასე იქნება... ფილმი მაშინ არის ღირებული, როცა გაგყვება მასზე ფიქრი გზაში, სახლში, აღტაცებას რომ ვერ დამალავ და მოუყვები სხვებს რა, როგორ იყო...

კურსდამთავრებულთა ამ ზეიმში ერთად იყო მშობლები და მთელი სკოლა, მადლობა უთხრეს სოფო სიუკაევას, მაკა მიშველიძეს, თეა რიჟამაძეს—ფილმის სულისჩამდგმელს და რეჟისორს.

ღვანკითის სკოლა

კვლავ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის სტუმრები არიან ღვანკითელი პედაგოგები და მოსწავლეები, მაგრამ სექტემბერში დამთავრდება „სტუმარ-მასპინძლობა“. უხარიათ, მაგრამ როგორც თვითონ თქვეს, მოენატრებათ მასპინძლები. „დილით ოქრო ხარ სტუმარო“—ეს მორალი არ გამართლდა, თქვა ბოლო ზარის ზეიმზე მეთორმეტე კლასის ხელმძღვანელმა და ამ ღონისძიების წამყვან-მომწყობმა ქეთევან გავაშელაშვილმა, მარტო ვერაფერს გავაკეთებდი, ღონისძიების მოწყობაში გვერდით მედგა კლასი და პედაგოგები, დირექცია—ამბობს ქეთევანი.

სკოლა წელს 15-მა დაამთავრა. „არაჩვეულებრივი გამოშვება“ უწოდეს ამ კლასს და ეტყობოდათ კიდეც. სიყვარულით ისაუბრეს პირველ მასწავლებელზე—ცირა მურჯიკნელზე. „ქედი მოიხარეს“ მასწავლებლების, მშობლების წინაშე, მადლობა უთხრეს აუდიტორიას, ექიმ ირმა ბოჭორიშვილს, მაია გელაშვილს ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფისათვის.

კურსდამთავრებულები რამდენიმე ცეკვით წარსდგნენ მაყურებელთა წინაშე, მოიწონეს შოთიკო რობაქიძის სიმღერა შესრულებული ცალკე და მამასთან, ზურასთან და პედაგოგ მარინა ბოჭორიშვილთან ერთად, გონერი მოსელიძემ ლექსი მიუძღვნა კურსდამთავრებულებს და თავად წაიკითხა, მას არ ჩამორჩნენ კურდამთავრებულები გურამ რობაქიძე და გიორგი ბოჭორიშვილი. ქეთევანმა შეასრულა დანაპირები—უმღერა სადამრიგებლო კლასს.

იყო ტკივილიანი მოგონება. კურსდამთავრებულებმა მოინახულეს ადრე წასული დირექტორის ინეზა ზამთარაძის საფლავი, ანანო გავაშელაშვილმა ლექსი წაუკითხა, ყვავილებით დაფარეს საფლავი და სანთლები აანთეს.

კურსდამთავრებულებს სიტყვით მიმართა მშობელმა **ნათია წაქაძემ**, სკოლის დირექტორმა **ინგა ჯალიაშვილმა.**

სკოლებში ბოლო ზარის ზეიმს ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის მერი მანუჩარ რობაქიძე, საკრებულოს თავმჯდომარე სოსო ჩაფიჩაძე, საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელი ქეთევან შეყრილაძე, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი მაკა ასათიანი, მათ სიტყვით მიმართეს ახალგაზრდებს.

***

მამა ანდრიამ (ყიფიანი) დალოცა ახალგაზრდები, სრულიად საქართველო და თერჯოლა. მან სიამოვნებით აღნიშნა, რომ ეს თაობა დადიოდა ტაძრებში. მამამ ასევე რწმენის, განათლების და საქმის ერთობლიობას გაუსვა ხაზი.

***

ტრადიცია არც ახლა დარღვეულა. ბატონი მანუჩარ რობაქიძე მუნიციპალიტეტის ყველა სკოლის კურსდამთავრებულს სასურველი ექსკურსიის დაფინანსებას დაპირდა.

ჟუჟუნა ცხადაძე

ოთხმოცდაშვიდი წელი მხრებზე და ფიქრები მომავალზე

ხუთი წელი იმუშავა სიქთარვის რვაწლიან სკოლაში ფიზიკა-მათემატიკის მასწავლებლად და ძალიან მალე მოიპოვა ნდობა და ავტორიტეტი. სკოლის დირექციასთან ერთად ისეთი მნიშვნელოვანი სიახლეები შემოიტანა, რომ მასწავლებლების, მშობლების, მოსწავლეების სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. უკეთ მოაწყო ფიზიკის კაბინეტი, შეავსო საჭირო თვალსაჩინო მასალებით, მოსწავლეები ინტერესით ისმენდნენ მის „ცოცხალ“, ცდებზე დაფუძნებულ გაკვეთილებს, ატარებდა შიდა სასკოლო ტურებს, კონკურსებს, რაც ძალიან მოსწონდათ მოსწავლეებს, არა აქტიური, სამოსნები და ჩამორჩენილი მოსწავლეები ისე მიიზიდა, უკეთესები გახადა.

მარიამ (მარიკა) აბულაძე, ჩუმი, უპრეტენზიო, მოკრძალებული, ძლივს დავითანხმე ორიოდე სიტყვა მეთქვა მასზე...

ზედა სიმონეთის საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში ჩააბარა მისაღები გამოცდები და დაამთავრა ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტი. 1964 წელს სრულიად ახალგაზრდა პედაგოგმა სიქთარვის რვაწლიან სკოლაში დაიწყო მუშაობა. მან თქვა: **„პედაგოგიურმა კოლექტივმა ძალიან თბილად მიმიღო. სკოლის დირექტორი ლევან ცქიფურიშვილი იყო და ძალიან ბევრი ვისწავლე მისგან, პედაგოგებისაგან კი მივიღე გამოცდილება, აქ ვისწავლე რომ ყვირილი, დამამცირებელი მიმართვა, გაღიზიანება, ღირსების შელახვა ვნებს მოსწავლეთა აღზრდის საქმეს, რომ საუკეთესო თვისებები მოსწავლეებს გადაეცემათ არა მარტო ყოველდღიური ჭკუის სწავლებით, არამედ ყოველდღიური მოქმედების საშუალებით, რომ მასწავლებლის შეფასება უნდა მოხდეს მოსწავლეთა შედეგების მიხედვით და სხვა“.**

მერე გათხოვდა. ბედი ბარდუბნელ ნოდარ ბარდაველიძეს დაუკავშირა და 1970 წლიდან მუშაობა გააგრძელა ბარდუბნის საშუალო სკოლაში, სადაც პენსიაში გასვლამდე მუშაობდა. 72 წლის იყო მაშინ მარიკა, კიდევ მხნე და აქტიური, მიზანსწრაფული და შემოქმედი და თქვა ის, რაც სათქმელადაც ძნელია და მითუმეტეს შესასრულებლად. **„მალე 87 წლის გავხდები, ჩემი პენსიაზე გასვლა არ უკავშირდებოდა არც ჯანმრთელობას, ან რაიმე ფორმით იძულებას დამეტოვებინა საყვარელი საქმე, რომელსაც ერთგულად და გულის კარნახით ვაკეთებდი. სოფელში მომრავლდნენ ახალგაზრდები, რომლებმაც ჩემი პროფესია აირჩიეს და სოფელში დაბრუნდნენ, მე მათ მივეცი მუშაობის შესაძლებლობა“.**

დიახ, ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ეს სასიამოვნო ფაქტი ნამდვილია. მე რამდენჯერმე ვესაუბრე მარიკას, შევხვდი კიდეც და მართლაც კარგად გამოიყურება, არის მხნედ და სულით ძლიერი, ისევ კაფანდარა და სუსტი. მარიკა ამბობს, რომ ბედნიერია, რადგან ორივე სკოლაში ჰყავდა ბევრი ნიჭიერი მოსწავლე, რამდენიმემ მისი პროფესია აირჩია, ზოგმა არ აირჩია, სხვა სფეროში არიან დასაქმებულები, მაგრამ „ყოფილი მასწავლებელი“ ყველა მათგანით ინტერესდება.

და მოიხადა ვალი, სრული სიყვარულით და სინდისიერებით, მაგრამ მარიკას თქმით, მათი აღზრდა არ დამთავრებულა, რადგან ადამიანი უნდა სწავლობდეს და „იზრდებოდეს“ მთელი სიცოცხლე, ცხოვრებიდან უნდა იღებდნენ ახალ გაკვეთილებს, მაგრამ არ უნდა დაივიწყონ ის მნიშვნელოვანი და პირველდაწყებითი, რაც სკოლაში მიიღეს...

***

ყოველთვის იდგა საკითხი, თუ როგორ უნდა ეუფლებოდეს მასწავლებელი კლასის მართვას და მოსწავლეებში დისციპლინის გაუმჯობესების მეთოდებს. მარიკა არასოდეს ჩამორჩენია განათლების სისტემაში მომხდარ ცვლილებებს, მისი მოსწავლეები გამოირჩეოდნენ არა მარტო სწავლით, არამედ ყოფაქცევით, მან ყოველთვის იცოდა რა ახდენდა გავლენას მოსწავლის ცოდნის ხარისხზე, როგორ ებრძოლა პროფესიული სტატუსისათვის, იცოდა, რომ მისი, როგორც მასწავლებლის შეფასება, მოხდებოდა გვიან, წლების მერე, რაც მეტ პასუხისმგებლობას ჰმატებდა. იგი მოუთმენლად ელოდებოდა შემდეგ სამუშაო დღეს, ელოდებოდა მოსწავლეებთან შეხვედრას, მათთვის ახლის მიცემას.

კარგა ხანია პენსიაზეა მარიამი, მაგრამ ხშირად ფიქრობს სკოლების ავ-კარგზე, ყოფილ და ახლანდელ მოსწავლეებზე, ზოგადად ახალგაზრდებზე, ეს განცდა ყოველთვის ჰქონდა, ახლა მითუმეტეს. მისი ერთადერთი შვილი ია ბარდაველიძე ბარდუბნის საჯარო სკოლაში მუშაობს ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად, წამყვანი მასწავლებლის სტატუსით. ია ხშირად ატარებს საინტერესო ღონისძიებებს, აქვს ავტორიტეტი, როგორც პედაგოგებში, ისე მოსწავლეებში და მშობლებში. მარიკასათვის მთავარი ახლა მაინც ოჯახია, ის ღირებულებები და ფასეულობა, რაც უნდა ჰქონდეს ოჯახს, მტკიცე ბალავერს, ბევრ შვილს—ძლიერ სამამულე რქას.

მარიკა ამაყობს ბიზნესმენი სიძით—დავით ქათამაძით. სამი შვილიშვილი, სამი შვილთაშვილი მისთვის ყველაფერია. შვილი ია, შვილიშვილები: ელიტა, მარი, თიკო, შვილთაშვილები: ვახო, მარიტა, თამარი, შვილიშვილთა ქმრები მისი სიამაყეა. ესაა მარიკას ოჯახი ჯერჯერობით, მაგრამ მატება იქნება... და ხშირად ფიქრობს მათ მომავალზე, მათ ბედნიერებაზე, ფიქრობს სკოლაზე, ახალგაზრდებზე, ქვეყანაზე... აქვს სურვილები, ოცნებები. კმაყოფილია, რომ მისი ოჯახის სრულწლოვანი ყველა წევრი უმაღლესი განათლებითაა, შვილი და შვილიშვილები პედაგოგები არიან, შვილთაშვილები პატარები არიან, გათვითცნობიერებული არ აქვთ რა გზას დაადგებიან, მაგრამ დიდი ბებო დაეხმარებათ. მეუღლის, ნოდარ ბარდაველიძის გარდაცვალება მძიმე დანაკლისი იყო ოჯახისათვის, კარგა ხანია ტვირთი, მარიკას დააწვა მხრებზე, მაგრამ ისწავლეს ოჯახის უფროსის გარეშე ცხოვრება, ღირსეულად გაუძლეს ტკივილს.

საუბარი მაინც სკოლის, ყოფილი მოსწავლეების გახსენებით დაამთავრა: **„ჩემს ყოფილ მოსწავლეებთან დღესაც მაქვს ურთიერთობა, მოდიან ჩემთან ოჯახში, თბილ კომენტარებს მიწერენ, თითოეული ჩემი აღზრდილი, ძლიერი თუ სუსტი, ძნელად აღსაზრდელი თუ დამჯერე, ყველა ერთნაირად მიყვარდა, ისინიც გრძნობდნენ, რომ მათთვის, მხოლოდ კარგი მინდოდა. მე არასოდეს გამომიყენებია, არც მცირე, არც უფრო დიდ დანაშაულზე მკაცრი სასჯელი, არც მშობლის დაბარება „მხიბლავდა“.** ნამდვილად ასე იყო, მარიკა ყოველთვის იტოვებდა „რეზერვს“ შემდგომი ზემოქმედებისათვის, ხშირად კმაყოფილდებოდა შენიშვნებით, გაფრთხილებით, ითვალისწინებდა—როცა ბავშვი იღებს მკაცრ შეფასებას, მას სწავლის სურვილი ეკარგება, იწყებს ფიქრს იმ მიმართულებით, რომ რაც არ უნდა მოინდომოს, მისგან მაინც არაფერი გამოვა, ხშირად სასურველ საქმიანობაზეც კი ხელს იღებს.

***

დროისა და ცხოვრების შეცვლასთან ერთად იცვლება მოსწავლეც, მასწავლებელიც, მშობლებიც, ყველა დროს თავისი სირთულეები აქვს, პრობლები ახლავს, მაგრამ რა მხრივადაც არ უნდა განვიხილოთ ეს საკითხი—სამივე რგოლის როლი მოსწავლის პიროვნების ჩამოყალიბებაში ყველა შემთხვევაში ცენტრალურია. ასე იყო მარიკას შემთხვევაში.

***

მასწავლებელი აღიქმებოდა და მომავალშიც აღიქმება დედამიწაზე მცხოვრებ განსაკუთრებულ არსებად. ჩვენ ყველას გვინდა მასწავლებელი იყოს ჩვენი საზოგადოების საუკეთესო ნაწილი, მისაბაძი პიროვნება.

ასეთია მარიამ (მარიკა) აბულაძე.

ჟუჟუნა ცხადაძე

ზღაპარი: „ყაყაჩო, ჭიამაია და წითელი ფერი“— ინსცენირებად

ისინი მეორეკლასელები არიან. ორი წელიც არ არის, რაც „დედობრივი სკოლა“ №3 ბაღი დატოვეს და როგორ გაზრდილან! უნდა გავიხსენო მათი, მზაობის ჯგუფის ზეიმი და გზის დალოცვა უფრო მაღალი საფეხურისაკენ—პირველკლასელობისკენ, რომლისთვისაც სრულ მზადყოფნაში იყვნენ. მერე პირველი კლასის მასწავლებელმა მაია აბულაძემ აზიარათ „აი-ია“-ს, სწორუპოვარ გასაღებს ქართული ანბანისას.

რა ხდებოდა ამ რამდენიმე დღის წინ თერჯოლის №2 საჯარო სკოლის (დირექტორი **ფიქრია დემეტრაშვილი**) მე-2 კლასში (კლასის ხელმძღვანელი, პირველი მასწავლებელი და ღონისძიების ორგანიზატორი **მაია აბულაძე**), რით მოხიბლეს მაყურებელი და როგორ „დაიპყრეს“ მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის დარბაზის სცენა!

ამჯერად ზღაპარი—ყაყაჩოზე, ჭიამაიაზე და წითელ ფერზე—ინსცენირების სახით წარმოადგინეს. კლასის ყველა—21 მოსწავლეს თავისი როლი ჰქონდა. ზოგი წამყვანი იყო, ზოგი ყაყაჩო, პეპელა თუ წითელი ფერი, ზოგი გვირილა, ჭიამაია და ბაია... თქვეს, რომ უფერული ყვავილი ყოფილა ყაყაჩო, ვერვის იზიდავდა, მხოლოდ მასავით უფერული მწერი ჭიამაია მეგობრობდა მასთან. ყაყაჩოს წუხილი შეიტყო ფერიამ და შექმნა ახალი ფერი—კაშკაშა წითელი, შავად მოხატული გულით, ფერები ძალიან მოუხდნენ ერთმანეთს. ღონისძიების მონაწილეებმა ისაუბრეს ჭიამაიას სილამაზეზე, მის სარგებლიანობაზე, რადგან ისინი მცენარის დამაზიანებელ ბაქტერიებს ჭამენ, ზურგზე შავი ხალები ძალიან უხდებათ, ისაუბრეს გაზაფხულზე, წელიწადის ულამაზეს დროზე, მზის მაცოცხლებელ სხივებზე, იმაზე თუ როგორ გამოიჩეკა ყაყაჩოს გულში პატარა ჭიამაია, დაახასიათეს ისინი, ბედნიერების მომტანი მწერი უწოდეს, ამინდის „გულთმისანს“ კითხვებით მიმართეს „ავდარია, დარია, ხვალ როგორი დარია“. მერე გვირილა გამოჩნდა, სიმღერა შეასრულეს ყვითელგულა, პირმცინარ და პაწაწინა გვირილაზე, მზეზე გაშლილ უცნაურ ყვავილზე.

ღონისძიება ყაყაჩოზე, ჭიამაიაზე და წითელ ფერზე, იმაზე მეტი იყო, ვიდრე ინსცენირება, იგი უფრო პატარა სპექტაკლს ჰგავდა. წარმოთქმული ყოველი ლექსი, სტრიქონები ზღაპრის „გმირებზე“, ყვავილთა წარმოშობა-წარმომავლობაზე, სიყვარულის, მეგობრობის, სილამაზის გამოხატულება იყო. შემთხვევითი არ იყო, რომ ღონისძიება გაზაფხულს დაამთხვიეს, გაზაფხულს ხომ თან ახლავს ყვავილების დედოფლის „ვარდის“ გაშლა, პეპელას „გამონარნარება“, ყაყაჩოს სიწითლით ყანის დამშვენება. სცენა გაალამაზა ლექსმა „ყმაწვილი და პეპელა“, ვედრებამ „დღეგრძელი არ ვარ გამიშვი“.

ლამაზად დამთავრდა მშვენიერი ზღაპარი, კარგები იყვნენ მეორეკლასელები, უხდებოდათ როლები და შესაბამისი ჩაცმულობა.

ზღაპრის პერსონაჟები:

წამყვანები: **ანდრია აბესაძე, მარიამ დოლაკიძე, ეფემია პატარიძე.**

ყაყაჩო: **მარიამ მაკარიძე, ლიზი ძოწენიძე.**

ჭიამაიები: **ელენე ქურცაძე, მარიამ დოლაკიძე, ანა სირაძე.**

სალამურა და ბაია: **გიორგი კოხიაშვილი, ნინი ობოლაძე.**

ყმაწვილი და პეპელა: **ნია გელიაშვილი, დათო კაპანაძე.**

ვარდი: **ბარბარე პატარიძე,**

გვირილა: **სალომე რობაქიძე,**

ნიავი: **გაბრიელ მემანიშვილი,**

ფერია: **მერი კუპატაძე** (მშობელი),

მონაწილეები: **მიხო დევიძე, საბა რობაქიძე, სოსო ნერგაძე, ანდრია რობაქიძე, ილია კუპატაძე, დანიელ გაჩეჩილაძე, იოანე ფორჩხიძე.**

☞7

ფოლკლორი—მეგზური უკვდავებისა

როცა ახლახან გამართული ღონისძიების ხიბლი და შთაბეჭდილება ჯერაც არ განელებულა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრიდან ახალი მიწვევა გაქვს, ფიქრობ, კიდევ რას სთავაზობს ახალს, საინტერესოსა და სასიამოვნოს მაყურებელს ან ეს მალიმალ გამართული ახალ-ახალი სანახაობების მომზადება როგორ ხერხდება.

დიახ, თერჯოლის მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრში შეუძლებელი არაფერია, აქ ყოველ ჯერზე სასწაულებს ახდენენ. ამის დასტური იყო ქართული ხალხური შემოქმედების ეს საღამოც, რომელსაც გაცილებით მეტი მაყურებელი და მონაწილე ჰყავდა, ვიდრე დარბაზს და სცენას მათი დატევა შეეძლო...

კიდევ ერთი დაუვიწყარი, ულამაზესი ღონისძიება, კიდევ ერთხელ აღფრთოვანებული, აცრემლებული მაყურებელთა დარბაზი და უამრავი აპლოდისმენტი...

საუკეთესოდ შერჩეულ-მიგნებული თემა: „ფოლკლორი მეგზური უკვდავებისა“ და განაცხადი იმისა, რომ „მრავალსაუკუნოვანი ქართული ფოლკლორი ქართველი ერის შემოქმედებითი გენიის ნაყოფი და არა მხოლოდ ქართული, არამედ მსოფლიო კულტურის კუთვნილებაა, რომ საუკუნეთა განმავლობაში იქმნებოდა ქართული ფოლკლორის უნიკალური ნიმუშები, მომღერალთა, მოცეკვავეთა, ხალხურ მელექსეთა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ოსტატთა სწორუპოვარი შემოქმედება...

გოგო-ბიჭები ლამაზად გადმოსცემდნენ არსსა და სადიდებელს „უკვდავების მეგზურ“ ფოლკლორის სახეობათა—ქართული სიმღერისა, ცეკვისა და ლექსისა.

„ქართული სიმღერა უფრო მეტია ვიდრე მუსიკა, ქართული ხალხური მუსიკა ერთგვარი ცხოვრების წესია. ფოლკლორული სიმღერები თაობიდან თაობას გადაეცემა და საერთო ტრადიციების გარშემო აერთიანებს ხალხს. თავისი უძველესი ფესვებით, მდიდარი ჰარმონიებითა და ღრმა კულტურული მნიშვნელობით, ქართული ხალხური მუსიკა დღემდე რჩება ერთ-ერთ ყველაზე ძვირფას ტრადიციად მსოფლიოში“.

ქართული ცეკვა მთელი სამყაროა... უმდიდრესი, ნატიფი და ულამაზესი. ქართული ცეკვა საქართველოს სულიერების, ქართველთა სიბრძნის და ნიჭიერების სრულყოფილი ხატია; ქართული ცეკვა უხსოვარ დროიდან დღემდე მოტანილი მეხსიერება და უსასრულო მომავლისაკენ მიმართული...

ქართველი სიმღერით ეგებება ცხოვრებისეულ მოვლენებს, მღერის თუ მელექსეობს, უხვად ღვრის გრძნობებს, ტკბილად, ლაღად, ქართულად“.

საკონცერტო პროგრამით ანსამბლ „იმერის“ მიერ წარმოდგენილმა პირველმა ნომერმა, სიმღერით „ირემს რად უყვარს წყარონი“ და შემდეგ ღონისძიების მანძილზე თითოეულმა სიმღერამ, ცეკვამ თუ ლექსმა ნათლად აჩვენა მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის ნიჭიერ და კარგად გაწვრთნილ აღსაზრდელებს, მართლაც, როგორ სრულყოფილებით შეუძლიათ წარმოადგინონ ჩვენი ეროვნული საგანძურის ნიმუშები, ხიბლი, შინაარსი და სილამაზე. სცენაზე უხვად იღვრებოდა გრძნობები: ამაღლებული სიყვარული, შემართება, სინაზე და ცეცხლოვანება, რომელიც მხოლოდ ქართულ გენს შეუძლია, ერთნაირი გული, ერთნაირი რიტმი, სუნთქვა და საოცარი ემოცია...

ქართული ყოფის, მისი უმდიდრესი კულტურის, ჩვენი ნიჭიერი და არაჩვეულებრივი ახალგაზრდების შესაძლებლობათა ერთგვარი დემონსტრირება იყო თითოეული საკონცერტო ნომერი, ცეკვები: „დავლურ-ქართული“, „სვანური“, „ყაზბეგური“, „სამაია“, „რაჭული“, „მთიულური“. სიმღერები: „ირემს რად უყვარს წყარონი“, „ქალავ ვინ მოგცა“, „ღიღილო“, საგალობელი—„დიდება მაღალსა შინა ღმერთსა“. ლექსები, ზეპირსიტყვიერების სხვადასხვა მარგალიტების მონტაჟი, „მზე შინა“, „შემომეყარა ყივჩაღი“, „ბინდისფერია სოფელი“, „დედო ზარი“. თითოეული ღრმა შინაარსით, სიყვარული ვაჟკაცობის, მეგობრობის, ერთგულების, სამშობლოს სიყვარულის, მისი დაცვისა და მისთვის თავდადების იდეით გაჟღენთილი...

საგალობელი: „დიდება მაღალსა შინა“

განვლო ორმოცმა დღემ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გარდაცვალებიდან. ეს დრო იქცა ჩვენთვის, ერთგვარი დაფიქრების, მისი უწმინდესობის პიროვნების ახლებურად დანახვის, ჩვენი თავის, ჩვენი ხალხის შეცნობის დღეებად.

„შენ წმინდა კაცო ფეხადგმულო ქრისტეს საყდარო,

უნდა გვაჯობო და სწორი გზით უნდა გვატარო.

ჩვენი ვალია, მაგ სწორ გზაზე მოგყვეთ ბოლომდე,

ლომი კრავობდეს, მაგრამ ზოგჯერ კრავიც ლომობდეს“...

ორმოცი დღის განმავლობაში დაგვიდგა აღდგომა უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი. ეს იყო პირველი აღდგომა კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის გარეშე. ამიერიდან ჩვენ, ჩვენს ქვეყანას და ყოველ ჩვენგანს გვეყოლება დიდი მეოხი და ის თავისი ლოცვით შეგვეწევა, რომ ღირსეულად გავაგრძელოთ მისი გზა. გზა, რომელიც დამყარებულია მართლმადიდებლური ეკლესიის სიყვარულსა და ერთგულებაზე, ღვთისადმი, სამშობლოსა და მოყვასისადმი სიყვარულზე“...

ასე იმედიანად და სიყვარულით მიაგეს პატივი უწმინდესის ხსოვნას და საგალობლით და ლექსით „დედო ზარი“, მაყურებელს უდიდესი სიამოვნება მიანიჭეს...

სცენიდან დამსწრე საზოგადოებას და მონაწილეებს მადლობა გადაუხადა ცენტრის დირექტორმა ნათია მოსიაშვილმა.

ქართული ხალხური შემოქმედების საღამოს დაესწრნენ: თერჯოლა-ტყიბულის მიტროპოლიტი, მეუფე გიორგი (შალამბერიძე), მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს ხელმძღვანელები, ბატონები: მანუჩარ რობაქიძე და სოსო ჩაფიჩაძე, მოადგილეებთან ზვიად ბაზაძესთან, მირზა ქოჩიაშვილთან, ჯემალ ისაკაძესთან, მერიის განათლების, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსთან მაკა ასათიანთან და საჯარო სამსახურის სხვა წარმომადგენლებთან ერთად.

„ჩვენთან არს ღმერთი“, ასე დაიწყო თავისი მიმართვა შეკრებილი საზოგადოების, ღონისძიების მონაწილე ახალგაზრდებისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის პედაგოგების მიმართ მეუფე გიორგიმ. მან ფოლკლორის ულამაზესი საღამოს შეფასებისას აღნიშნა, რომ ყველაფერი უფლის ნებაა, რომ ჩვენი უდიდესი ხალხური შემოქმედების ნიმუშები მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანაში მისი მადლით საზრდოობდა, ასე მოვიდა აქამდე. ხაზგასმით აღნიშნა ქართველი ადამიანის ნიჭიერებისა და მათ შორის თერჯოლელ მომღერალთა თუ მოცეკვავეთა შესაძლებლობაზე. გაიხსენა დები იშხნელები, პეტრე და მედეა ამირანაშვილები და სხვები, რომლებმაც ხელოვნების ამ დარგის უმდიდრესი მემკვიდრეობა დაგვიტოვეს...

მეუფემ ისაუბრა უწმინდესის უდიდეს ღვაწლზე, შეკრებილ საზოგადოებას მოუწოდა სულიერების ამაღლების, ლოცვისა და რწმენის გაძლიერების აუცილებლობის თაობაზე.

მანუჩარ რობაქიძე: **მოგესალმებით ყველას, გილოცავთ დღევანდელ დღეს და მინდა სიხარულით გითხრათ, რომ დღეს ჩვენ აქ ვნახეთ ყველაზე საუკეთესო ღონისძიება, რაც აქ ოდესმე გვინახავს. მე პირადად ბედნიერი ვარ, რომ ასეთი საგანძურის პატრონები ვართ და ჩვენს შვილებს, მომავალ თაობას აქვს შესაძლებლობა გაეცნოს, გაითავისოს და ხელოვნებაზე მაღლა აიტაცოს ის, რაც საუკუნეების წინათ ჩვენს ნიჭიერ და შემოქმედების უშრეტი ენერგიის მქონე წინაპრებს შეუქმნია.**

მიხარია, რომ ასეთი მაღალი შესაძლებლობის ახალგაზრდები ჰყავს ჩვენს თერჯოლას, ჩვენს საამაყო ოჯახებს. ვულოცავ თითოეულს, ვისაც შეუძლია ასეთი სილამაზე შექმნას, ცეკვის, სიმღერის თუ ლექსის სახით.

კიდევ ერთხელ გავიმეორებ სამადლობელს იმ არაჩვეულებრივი ერთ მუშტად შეკრული გუნდის მიმართ, რომლებიც ასე ერთსულოვნად ზრუნავენ ერთი დიდი მიზნისათვის—მომავალი თაობის ღირსეულ, მრავალმხრივ განვითარებულ მოქალაქეებად აღზრდისათვის.

თავიანთ გამოსვლებში მაღალ დონეზე შეაფასეს ღონისძიება მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსმა მაკა ასათიანმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის დირექტორმა ქეთევან შეყრილაძემ, მათ აგრეთვე მადლობა გადაუხადეს ღონისძიების ორგანიზატორებსა და მონაწილეებს.

კონცერტში მონაწილეობდნენ: მომღერალთა ანსამბლი „იმერი“, ხელმძღვანელი ბესო გოგოლაშვილი, ანსამბლი „იმედი“ ხელმძღვანელი ზურაბ რიჟამაძე, ქორეოგრაფიული ანსამბლი „ბერიკონი“, ხელმძღვანელები: ზაურ სვანიძე, ვიტალი ლაღაძე და ღონისძიების დაგეგმვისა და განხორციელების კლუბის აღსაზრდელები...

მზია ცქიფურიშვილი

დავით გუბელაძე—სამშობლოსა და ადამიანებზე უსაზღვროდ შეყვარებული ჩვენებური

დავით გუბელაძე 1917 წლის 1 აგვისტოს დაიბადა ნავენახევში. აქ დაამთავრა საშუალო სკოლა, შემდეგ კი ქუთაისის პედაგოგიური ტექნიკუმი. მუშაობდა მასწავლებლად ნახშირღელის საშუალო სკოლაში, სადაც სწავლობდნენ მისი ძმა და დები.

1939 წელს იგი მოხალისედ წავიდა სამხედრო-სავალდებულო სამსახურის მოსახდელად, საიდანაც ჩაირიცხა თბილისის საარტილერიო სასწალებელში.

1941 წლიდანვე მოქმედ არმიაშია, როგორც უმცროსი ოფიცერი და მძიმე ბრძოლებით განვლო დიდი საბრძოლო გზა.

ბრძოლები კაპიტნის ჩინით დაამთავრა და თადარიგშიც გავიდა. არის მრავალი საბრძოლო ჯილდოს კავალერი.

აღსანიშნავია, რომ იგი წლების განმავლობაში იყო საქართველო ომის ვეტერანთა კავშირის საზოგადოების მდივანი, რომელსაც ცნობილი ვეტერანი ვარლამ ჯანჯღავა ხელმძღვანელობდა.

მათი ხელმძღვანელობით ამ კავშირმა ბევრი კარგი საქმე გააკეთა—მეორე მსოფლიო ომში დაღუპულთა ხსოვნის პატივგებისა და ომგამოვლილი ვეტერანების თანადგომისათვის.

ბატონ დავითს წლების განმავლობაში უკეთებია საინტერესო ჩანაწერები. შეუქმნია სოლიდური ფოტოარქივი. ხელნაწერები შემდეგ ოჯახის ახლობლებთან ერთად მოუმზადებია და ჩაუსწორებია კიდეც და მომავალი წიგნისათვის პირობით გარე ყდაზე ასე დაუწერია:

დავით გუბელაძე
ომის ქარცეცხლში
(დოკუმენტური ნოველების კრებული)
1999 წელი ქ. თბილისი

სამწუხაროდ, ბატონი დავითი 2009 წელს გარდაიცვალა და მისი მოგონებების წიგნად გამოცემას ვერ მოესწრო.

ახლახანს სასიამოვნო ამბავი შევიტყვეთ, ოჯახის წევრებმა—შვილმა ნინო გუბელაძემ, დისშვილმა მანანა კლდიაშვილმა, დისშვილიშვილმა გიორგი კლდიაშვილმა და მისმა მეუღლემ ელზამ მიიღეს გადაწყვეტილება, რომ შეასრულონ ამ დიდებული ადამიანის ოცნება და წიგნად გამოსცენ დავით გუბელაძის ჩანაწერები, რომლებიც გამოირჩევიან ფაქტების უაღრესად დოკუმენტალურობით, თანამებრძოლების, საერთოდ ადამიანების და ქვეყნისადმი გაჯერებული დიდი სიყვარულითა და გულწრფელი თხრობით.

ამჯერად, ჩვენი გაზეთის მკითხველს, ვთავაზობთ ავტორის წინათქმას, რომელიც მას წლების წინ მომავალი წიგნისათვის გაუკეთებია. ასევე, მოკლე მონაკვეთს ნოველიდან „მცირე ავტობიოგრაფია და პატარა ინციდენტი“.

ავტორისაგან

სიყვარული – ეს მარად უჭკნობი განცდა – ყველაზე მწვავედ ბობოქარ ომში მონაწილე მეომრის გულში ჰპოვებდა ნოყიერ ნიადაგს, აღმოცენდებოდა, აყვავილდებოდა და პატრიოტულ აღზევებასთან ერთად მთელი თავისი სილამაზითა და მრავალფეროვნებით წარმოჩნდებოდა.

როგორც საყოველთაოდ ცნობილია, 1941 წლის 22 ივნისს ფაშისტური გერმანიის კარგად შეიარაღებული უზარმაზარი არმია, ომის გამოუცხადებლად, თავს დაესხა საბჭოთა სახელმწიფოს. კაპიტალისტური ქვეყნების ხელმძღვანელები თავიდან აქეზებდნენ გერმანიას დაემხო საჭოთა იმპერია, რომელიც მიზნად ისახავდა გაევრცელებინა კომუნისტური იდეალები მთელ პლანეტაზე, მაგრამ ომის დაწყების პირველივე დღიდანვე ვითარება რადიკალურად შეიცვალა: ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად საბჭოთა ქვეყანას მთელი ცივილიზებული სამყაროს ხალხები ამოუდგნენ მხარში.

რა თქმა უნდა, ისინი აბსოლუტურად დარწმუნდნენ იმაში, რომ გერმანიის ფაშიზმი მსოფლიოში არსებულ ყველა სახელმწიფო სისტემაზე ბევრად უარესი იყო და თუ იგი გაიმარჯვებდა, კაცობრიობას დიდი უბედურება ელოდა—ფაშიზმი მსოფლიო ბატონობას ესწრაფოდა.

პირველ ხანებში (მთელი წელიწადნახევარი) მტერი გვჯაბნიდა და უკან ვიხევდით. ომის ეს მონაკვეთი, ჩემის აზრით, ქართულ პუბლიკაციაში არასრულყოფილადაა გაშუქებული, არადა იგი არანაკლებ მნიშვნელოვანია. ჩვენ დამარცხებებში ჩავუყარეთ საფუძველი მომავალ გამარჯვებებს, ამიტომ მიზანშეწონილად ვცანი თხრობა პირველის აღწერიდან დამეწყო და ისიც, სხვადასხვა გარემოებათა გამო, მნიშვნელოვნად შემჭიდროებული ფორმით.

მაშინდელმა სამმილიონ ნახევარმა საქართველომ, შვიდასი ათასი მეომარი გაგზავნა ფაშისტური არმიის წინააღმდეგ საბრძოლველად. ეს იყო რესპუბლიკის მოსახლეობის ოცი პროცენტი, რომლის ნახევარი ველარ დაუბრუნდა მშობლიურ კერას, ხოლო ის ვინც დაბრუნდა, უმრავლესობა ხეიბარი ან ჯანმრთელობა შერყეული იყო.

ავტორი დიდი მოწიწებით ქედს იხრის და მუხლს იდრეკს მამაცთა სიკვდილით დაცემულთა საძმო საფლავების წინაშე, რომლითაც მოფენილია რუსეთის და ევროპის ტერიტორიები.

სამარადისო დიდება მათ!

საქართველოდან წარგზავნილებმა სხვა ერების წარმომადგენელთა მხარდამხარ ვაჟკაცობისა და მხედრული ნიჭის ბრწყინვალე დემონსტრირება გვაჩვენეს და ღირსეული ადგილი დაიმკვიდრეს მეორე მსოფლიო ომის ისტორიის ფურცლებზე.

თბილისის საარტილერიო სასწავლებლის კურსანტი

შვილთან, ნინოსთან ერთად

წიგნი დოკუმენტური ნოველების სახით არის შედგენილი და ყოველი ნოველა წინამდებარეს უშუალო გაგრძელებაა. იგი არავითარ პრეტენზიას არ აცხადებს თავის მაღალმხატვრულ ღირებულებაზე, დაწერილია თვითმონაწილე და თვითმხილველი იმდროინდელი ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდილი მეომრის უბრალო ენით, როცა სახელმწიფოში სუფევდა „რკინისებური დისციპლინა“ და წარმოდგენაც კი არ არსებობდა ეროვნებათა შუღლზე და სეპარატიზმზე, ნაკლებად ვიცოდით რა ყველაფერი ის, თუ რა ხდებოდა „რკინის ფარდის“ მიღმა.

წიგნში აღწერილი ფაქტების რეალობა და სულიერი ტკივილები, ვფიქრობ ბევრ სკეპტიკურად განწყობილ მოაზროვნეს სურვილს აღუძრავს ღრმად ჩაფიქრდეს და უფრო სწორად შეაფასოს მეორე მსოფლიო ომის მონაწილე თაობათა ღვაწლი და ჰეროიკული შემართება, მისი მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობა.

თხრობა არ არის გადატვირთული სისხლიანი ბრძოლების ეპიზოდებით, რაც გულს დაუმძიმებდა მკითხველს, შიგადაშიგ ჩართულია ქარცეცხლიანი დღეების მიღმა წარმოშობილი სიყვარულის ამბებიც. ჩემი სურვილი იყო გადმომეცა ყოველგვარი კომენტარის გარეშე თუ რანი ვიყავით, როგორ ვიბრძოდით და როგორ გვიყვარდა. მკითხველმა მომიტევოს თუ დღევანდელი თვალთახედვით ზოგი რამ დრომოჭმულად, უადგილოდ და უმართებულად მიიჩნიოს.

ავტორი წინასწარ მადლობას უხდის ყველა ოპონენტს, რომელიც კეთილი რჩევისათვის და შენიშვნებისთვის გაირჯება.

მცირე ავტობიოგრაფია და პატარა ინციდენტი

დედაჩემის გადმოცემით ახლად დაბადებული ძალიან გაძვალტყავებული ვყოფილვარ. თურმე არავის სჯეროდა თუ ცოცხალი დავრჩებოდი.

პირველი შვილი – ერთი წლის გოგონა ფილტვების ანთებას გამოუცლია ხელიდან და ჩემი ქვეყნად გამოჩენა დამწუხრებული ოჯახისათვის დიდი ნუგეში ყოფილა.

მთელი ჩემი ყმაწვილქალობა შენს გამოჯანმრთელებას და მოვლას შევალიეო—მეტყოდა დედა.

დაბადებიდან რამდენიმე თვეში ისეთი მკვირცხლი გავმხდარვარ, რომ ხელში ძლივს მიმაგრებდნენ. სიარული და სირბილი დროზე ადრე მისწავლია. ტირილი საერთოდ არ მცოდნია, ეს ჩვევა შემდეგშიც მთელი ცხოვრების მანძილზე გამყვა. სამაგიეროდ, მაღალი ემოციურობის გამო შინაგანად ვიწვოდი, ვიფერფლებოდი, რაც ბევრად ძნელი ასატანი იყო, ვიდრე ცრემლებით განმუხტული მწუხარება.

ჩემი სოფელი ნავენახევი, სადაც დავიბადე, ქუთაისიდან აღმოსავლეთით 15 კმ–ით არის დაშორებული. ეს სახელწოდება პირობითია, რადგან ყოველ ოჯახს საკუთარი ვენახი ჰქონდა გაშენებული და „ციცქისა“ და „ცოლიკაურისაგან“ მაღალხარისხოვან საუკეთესო ბუკეტის მქონე ღვინოებს აყენებდნენ.

სოფელი გამოირჩეოდა ბუნების მშვენიერი პეიზაჟებით, მაცოცხლებელი მთის სუფთა კრიალა ჰაერით, ნათელი ცით. აქ ხალხიც მხნე, გამრჯე და ხალისიანი ცხოვრობდა. ამჯერად იგი მიწისქვეშა დიდებული სანახაობით—„ნავენახევის მღვიმეთი“ ამაყობს მხოლოდ.

ჩვენი სახლიდან მაშინ ტყე და ბუჩქნარიანი ფერდობები იწყებოდა. ბავშვობისას ყველაფერს მერჩივნა ბაბუაჩემთან ერთად ცხვარ–ძროხისა და თხების სამწყესურში გარეკვა. იქ ჩემი სოფლის ტოლ გოგო–ბიჭებთან თამაში. მიყვარდა ბუნების წიაღში ხეტიალი და ოცნება, ტყის ფრინველთა გალობის მოსმენა, გამოქვაბულში ძრომა, მაღალტანიანი ხეების კენწეროში მოქცევა ისე, რომ ჩემს ზემოთ ფოთოლიც კი არ უნდა ყოფილიყო. მიყვარდა ციცაბო კალთებზე დაშვება, კლდეებზე ცოცვა, კლდეში პირველყოფილი ადამიანის საცხოვრებლის მიგნება... ჭიდაობა, ბურთაობა, ლახტის თამაში, მშვილდის სროლაში შეჯიბრი და ყველაფერს ვინ ჩამოთვლის. ეს ჩემი ბავშვობის უზრუნველი დღეები ჩემი სიცოცხლის ოქროს ფონდია, რომელსაც ვერავინ ვერ დამიბრუნებს.

შემდგომში, როგორც დაუდევარი მოზარდი, დავინტერესდი ტანვარჯიშით, განსაკუთრებით კი შემიყვარდა ცურვა. ეს უკანასკნელი ისე მომწონდა, რომ შემეძლო საათობით მესრიალა წყლის ზედაპირზე და დაღლილობა არ მეგრძნო. ცურვის ტექნიკის დაუფლებამ ჩემს ცხოვრებაში უდიდესი დადებითი როლი შეასრულა.

ადრე გამიტაცა მხატვრულმა ლიტერატურამ, ვკითხულობდი დღეც და ღამეც. ამ „ახირებით მშობლებს თავს ვაბეზრებდი. იყო შემთხვევა როცა დილით გულში ჩახუტებული წიგნით მიპოვიდნენ მძინარეს.

შენიშვნა—აქ ვწყვეტთ თხრობას და ძალიან შემოკლებული ფორმით გაცნობებთ, რომ ჩვენი წიგნის ავტორი წიგნის ამ პირველ ნოველაში საინტერესოდ მოგვითხრობს იმ ამბებზე, რაც მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე და მისი დაწყების პირველ ეტაპზე გადახდა თავს.

ვფიქრობ, რომ მომავალი ამ საინტერესო წიგნის სარჩევიდან პირველ მოთხრობას, რაც ჩვენ მერ ამჟამად თქვენთვის ნაწილობრივადაა წარმოდგენილი, კიდევ მრავალი, ჯამში ამ ეტაპზე სულ 200 გვერდზე მეტი საბჭოური წარმოების ხელით საბეჭდ მანქანაზე მომზადებული, მრავალი მოთხრობა დაემატება, საინტერესო ფოტოსურათებითა და მათზე ავტორის მიერ შესრულებული განმარტებებით.

ვფიქრობ, რომ წიგნად მისი გამოცემის შემთხვევაში, იგი კარგი შენაძენი იქნება ავტორის მიერ აღწერილი პერიოდით დაინტერესებული მკითხველისათვის.

გვინდა წარმატება ვუსურვოთ ადამიანებს, ვინც ამ უაღრესად კარგ საქმეს ჩვენი ისტორიის და წინაპრების დიდი პატივისცემითა და სიყვარულით მოჰკიდეს ხელი. წიგნის მომზადება-გამოცემაში გვინდა ყველას, ვინც ორგანიზატორებს გაუწევს თანადგომას და დახმარებას, წინასწარ ვუთხრათ გულითადი მადლობა.

დავით კლდიაშვილი

4 ☞

ზღაპარი: „ყაყაჩო, ჭიამაია და წითელი ფერი“—ინსცენირებად

ზღაპარ-ინსცენირებამ აჩვენა, რომ მეორეკლასელებს ბევრი უმუშავნიათ, თითოეულმა მონაწილემ მოწონება დაიმსახურა, ზეპირად უსწავლიათ არა მარტო ზღაპარი, არამედ მრავალი ლექსი პერსონაჟებზე, გაზაფხულზე, ჭიამაიაზე, კაშკაშა შეფერილობა მტრისგან თავის დაცვის საშუალებას რომ აძლევს, ზურგზე შავი ხალები სილამაზეს რომ ჰმატებს...

***

უკანასკნელ პერიოდში გახშირდა ღონისძიებები ერთი კლასის მოსწავლეების მონაწილეობით. შეფასებისას ამის დავიწყება არ შეიძლება, ძნელია იმუშაო იმდენი, რომ ყველა მოსწავლის შესაძლებლობა თანაბარი გახადო.

***

ღონისძიებას ესწრებოდნენ №2 და სხვა საჯარო სკოლების პედაგოგები, მოსწავლეები, მშობლები, №3 ბაგა-ბაღის თანამშრომლები, სხვა მოწვეული სტუმრები.

სკოლის დირექტორმა ფიქრია დემეტრაშვილმა შეაფასა ღონისძიება, მადლობა გადაუხადა

პედაგოგს, მშობლებს, მოსწავლეებს, დამსწრეთ, მოსწავლეახალგაზრდობის ცენტრის ხელმძღვანელს და თანამშრომლებს დარბაზის „დათმობისათვის“, თან არაერთხელ.

არის ღონისძიებათა ერთი ნაწილი, რომელთა სიტყვებით გადმოცემა ძნელია, იგი უნდა ნახო, დატკბე სანახაობით.

ასეთი იყო ეს ღონისძიება.

ჟუჟუნა ცხადაძე

ალექსანდრე ცქიფურიშვილი

ცხრა ათეული მიითვალა და მაინც, ძალიან გვეძნელება მასზე წერა, როგორც უკვე მარადისობის ბინადარზე. არადა რეალობა ასეთია. კიდევ ერთი კარგი ადამიანი დააკლდა, ჩვენს მუნიციპალიტეტს, სოფელ ძევრის საზოგადოებას, ოჯახს.

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ ალექსანდრე ცქიფურიშვილმა იცხოვრა ისე, როგორც ჭეშმარიტმა ქართველმა, ზნეკეთილობით, შრომისმოყვარეობით, უფლისა და მოყვასის სიყვარულით.

საზოგადოებრივ შრომით საქმიანობას კარგად უთავსებდა ოჯახზე ზრუნვას. ეამაყებოდა საუკეთესოდ აღზრდილი შვილები და შვილიშვილები.

მოწოდებული იყო სიკეთისათვის და თანადგომისათვის. გვახსოვს 90-იან წლებში მისი გულწრფელი შეთავაზება რაიონის ხელმძღვანელობისათვის მაშინ, როცა საბავშვო ბაღები საკვების დეფიციტის გამო დახურვის პირზე იყო, ალექსანდრე მზად იყო საკუთარი ფერმიდან უსასყიდლოდ ყველა ბაღი საჭირო რძით მოემარაგებინა.

ეს იყო ნიშანი მისი დიდი ადამიანობის, ჯანსაღ მომავალ თაობაზე ზრუნვის და პატრიოტიზმისა, რომელსაც ყოველთვის ყველგან ამჟავნებდა.

ბატონი ალექსანდრე აქტიური იყო სიცოცხლის ბოლომდე. დიდი ზეიმი იყო მისთვის, დიდი მუნიციპალური ღონისძიება „თერჯოლობა“, რომელშიც ყოველწლიურად მონაწილეობდა. იგი არც ერთ ღვინის „ფესტივალსა“ თუ „თერჯოლობას“ არ დაკლებია.

ყოველწლიურად უმშვენებდა მხარს ძევრის ამალას ეროვნული სამოსით, სიდარბაისლით, სიყვარულით, ლოცვით და მუდამ ღიმილიანი სახით.

„სიყვარულმა მომიყვანა, იმის სიხარულმა მომიყვანა ცოცხალი რომ ვარო და მოვალ ყოველ წელს, სანამ უფლის ნებით შევძლებ და ვიცოცხლებო“, გვითხრა ბოლო თერჯოლობაზე...

დიახ ნამდვილად დააკლდა კარგი ადამიანი თერჯოლას და დააკლდა „თერჯოლობას“ ერთი ჩოხოსანი, კოლორიტი კაცი, რომელიც ასე ძალიან შვენოდა ამ დღესასწაულს.

ნათელში იყოს, ამ უკვე ზეციურ სასუფეველში. მის სახელზე მუდამ ილიცლიცებს სანთელი შვილებისა და შვილიშვილების ხელით დანთებული.

„თერჯოლა“

ნაზი კუბლაშვილი—ორმოცი დღე გასულა

მოულოდნელი და წარმოუდგენელია თერჯოლის ვაჟა კუბლაშვილის სახელობის სამუსიკო-საგანმანათლებლო სკოლის პედაგოგიური კოლექტივისათვის კიდევ ერთი პედაგოგის, სიკეთითა და ერთგულებით შემკული ქალბატონ ნაზი კუბლაშვილის იმქვეყნიურ მარადისობაში გადასახლება.

სიკვდილი ვისთვის სიკვდილია, ვისთვის გარდაცვალება და ვისთვის უკვდავება. სამუსიკო სკოლის კლავიშებმა შეისისხლხორცეს და სამუდამოდ დაიტოვეს თქვენი უკვდავება, ქალბატონო ნაზი, ჭეშმარიტად სახელოვნად განვლილი ნათელი გზისთვის, ღვაწლმოსილებისა და ბოლომდე ერთგულად მომსახურე საყვარელი საქმისათვის.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის ულამაზეს, სოფელ ღვანკითში სიყვარულის, სიკეთის, ქართული ხმებით გაჟღენთილ კუბლაშვილთა სავსე ფუძეზე დაბადებული და აღზრდილი, საქართველოს სახალხო არტისტის-საამაყო ვაჟა კუბლაშვილის დედმამიშვილი ქალბატონი ნაზი კუბლაშვილი, თითქმის ექვსი ათეული წელი თავის შემოქმედებით, პედაგოგიურ საქმიანობას ღირსეულად ეწეოდა თერჯოლის სამუსიკო სკოლაში და თავისი გულმართალი, მზე ქალობით ირგვლივ ასხივებდა ყველას და ყველაფერს.

ქალბატონი ნაზი იყო პედაგოგიური საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი, მისაბაძი მეგობარი, საუკეთესო თანამშრომელი, თავისი პროფესიის ღრმა მცოდნე. აღსანიშნავია მისი ღვაწლი და ამაგი მომავალი თაობების აღზრდის საქმეში. გულთან ახლოს მიჰქონდა სხვათა ტკივილები, სიხარული და წარმატებები. შუბლგახსნილი, სტუმართმოყვარე ადამიანი იყო ქალბატონი ნაზი, ლოცვითა და თბილი სიტყვებით რომ გვაპურებდა მეგობრებსაც და მტერ-მოყვარესაც. -ასე ვახასიათებთ მას სამუსიკო სკოლის პედაგოგიური კოლექტივი, სიყვარულის ცრემლებით გავაცილეთ ბოლო გზასავალზე და უზომოდ ვწუხვართ, რომ დაგვტოვა მისი ღიმილიანი სახის გარეშე. ბევრი ლამაზი, სირთულეებითა და სიხარულით სავსე წლები რომ გამოვიარეთ ერთად, ჩვენმა, ერთ მუშტად შეკრულმა კოლექტივმა.

ქალს, რომელმაც სიცოცხლის ბოლომდე მეუღლესთან ერთად შეძლო ღირსეულად ტარება ოჯახის უღლისა, შეძლო დედობა სამი სახელოვანი შვილისა, ბებიობა შვილიშვილების, ავი და კარგი მტრისა და მოყვრის, გაძლება წუთისოფლის მძიმე წლების, გული ჰქონდა ძლიერი და სული კი საუფლო და მიუსაფარი. მან კარგად უწყოდა: „უკეთუ არ შეიყვარეთ ურთიერთი, არ შეგიყვარებთ უფალი.”

მან იმაზე მეტი გაიღო, ვიდრე ერთ სიცოცხლეში ძალუძს ადამიანს. იქნებ ამიტომაც იჩქარა მისმა გულმა. სიმღერა ქალბატონი ნაზისათვის სულის გასპეტაკების საბრძოლო იარაღი იყო. ახლა კი მისი ჰარმონიადქცეული ხმა ზეცაში ანგელოზებს შეუერთდება და საამოდ იგალობებს.

ძვირფასო ქალბატონო, უკვდავება თქვენს სახელს ჭირისუფალივით გაჰყვება მომავლის გზაზე.

კოლეგები

ქრისტინე ქათამაძე იმერეთის ჩემპიონია მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის!

11-17 მაისს ქ. ქუთაისში გაიმართა იმერეთის ღია საკვალიფიკაციო ტურნირი ჭადრაკში, სადაც წარმატებით იასპარეზეს თერჯოლის სპორტული სკოლის აღსაზრდელებმა.

მეოთხე თანრიგოსან გოგონათა შორის თანაბარი ქულებით პირველ-მეორე ადგილი გაინაწილა ქუთაისელ მოჭადრაკესთან ერთად ქეთევან კლდიაშვილმა (ზედა სიმონეთის საჯარო სკოლა).

მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის მეორე ადგილზე გავიდა ტაისია ტყავაძე (კერძო სკოლა „მზეკაბანი“).

ასევე, მესამე თანრიგოსან გოგონათა შორის 7 შესაძლებლობიდან 6,5 ქულით ტურნირის ჩემპიონი და ოქროს მედლის მფლობელი გახდა ქრისტინე ქათამაძე (საზანოს საჯარო სკოლა).

ვულოცავთ ჩვენ ნიჭიერ მოსწავლეებს და მათ მწვრთნელს ეროვნული ოსტატობის კანდიდატს ჭადრაკში გია ჭუმბურიძეს ტურნირზე წარმატებით გამოსვლას, ტურნირის ჩემპიონობას ქრისტინე ქათამაძეს და ვიცეჩემპიონობას ქეთევან კლდიაშვილსა და ტაისია ტყავაძეს!

წარმატებების გზით გევლოთ!

ელდარ ჩიხლაძე

ჩემო მონატრებულო და საყვარელო შვილო ელდარ! 60-ის გახდი, ათი წელია, რაც წახვედი და მარადიულ სასუფეველში ხარ დამკვიდრებული. დიდი ტკივილი ხარ ჩვენთვის, თავად ტკივილებით დატანჯულო და შეწუხებულო შვილო. ვიხსენებ როგორ განიცდიდნენ შენი შვილები შენს ავადმყოფობას და გარდაცვალებას და უფრო მეტად მეუფლება სევდა და მწუხარება. მაშინ ღმერთს ვთხოვდი მოსწრებოდი შვილების მომავალს, მათ ბედნიერებას. უნდა „გაგახარო“ შვილო—ორივე შვილი უმაღლესი განათლებით გყავს, ქალიშვილი გათხოვდა და ბედნიერია მეუღლესთან ერთად, დისშვილებიც კარგ ბედში არიან, მაგრამ შენი გარდაცვალების გამო დატოვებული ტანჯვა არ ნელდება, ხომ იცი, როგორ უყვარდი ყველას, ასეა ახლაც, ჩვენს, მათ ოჯახებში ყოველთვის ისმება შენი ხსოვნის სადღეგრძელო. კაცური კაცი იყავი შვილო, ალალი, პატიოსანი, ყველას მოყვარული. შენით ყოველთვის ვიამაყებთ, არც შენ შეგარცხვენთ, იძინე მშვიდი ძილით, გკოცნი და გეფერები ჩემო ტკბილო შვილო.



დამაგვიანდა შენთან მოსვლა და როცა მოვალ ბედნიერი ვიქნები. მანამდე კი კვლავ მონატრებით ვიცხოვრებ, ფიქრით და ოცნებით შენთან ვიქნები.

დამელოდე შვილო.

შენი დედა გუგული ჩიხლაძე

1 ივნისი – ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღეა!

ვულოცავთ თერჯოლის მუნიციპალიტეტსა და სრულიად საქართველოში თითოეულ ბავშვს, ჯანმრთელობა, ბედნიერება, სიხარული და სილაღე ჰქონოდეთ მუდამ. უფალმა და წმიდა ნინომ უწინამძღვროთ და დაიფაროთ განსაცდელისაგან.

თითოეული ბავშვი მთელი სამყაროა, ოჯახის ბედნიერება და სიხარულია, ქვეყნის სიძლიერე და იმედია, და უმთავრესი—სიცოცხლის მარადიულობის გარანტია! ამიტომ უნდა გვყვანდენ ძალიან ბევრნი, ჯანმრთელნი, სიყვარულით გარემოცულნი და დაცულნი...

ფრჩხილი არ უნდა წამოტკივდეთ ჩვენს პატარებს. ისინი ბედნიერები უნდა იყვნენ, რათა დაიზარდნონ ოჯახებისა და მამულის იმედად და სიძლიერედ...

თერჯოლის მუნიციპალიტეტის თვითმმართველობამ მიმდინარე წელსაც იზრუნა პატარებისათვის ამ დღის გასალამაზებლად. მათ განკარგულებაშია ქ. თერჯოლაში არსებული ყველა დახურული და ღია სპორტული მოედანი, ატრაქციონები, საზაფხულო ამფითეატრი და მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრის დარბაზი...

ბევრი ლამაზი და ბედნიერი დღე ჩვენს პატარებს...

ერთიან, ძლიერ და მშვიდ საქართველოში ეცხოვროს ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს, გაბრწყინებული, გაძლიერებული და გამთლიანებული გვენახოს ჩვენი ქვეყანა...

ეს ულამაზესი ბავშვები რუფოთის საბავშვო ბაღის აღსაზრდელები არიან. მათი ერთი ნაწილი, ანუ 5 ბავშვი: **ნიკოლოზ გოგიაშვილი, რუსა გვენცაძე, ნიკოლოზ სოფრომაძე, მარიამ ჯაჯანიძე, ნიკოლოზ ჭანტურიძე** ბაღს დაემშვიდობება და სკოლის მერხს მიუსხდება, დანარჩენები: **ლალი აბესაძე, რეზი გვენცაძე, სანდრო ოქრუაძე, მარიამ ღიბრაძე, მარინა ღიბრაძე, იოსებ ხვარეშია, ემილია ჯაჯანიძე, ნათია ჭანტურიძე, ანდრია ცქიფურიშვილი, დემეტრე ცქიფურიშვილი, ნუცა ჭანკვეტაძე, გიორგი ჭანკვეტაძე, ანასტასია ჭანკვეტაძე, ელისაბედ ჭანკვეტაძე** კი კვლავ საბავშვო ბაღში დარჩებიან, სადაც მათთვის ისევ საინტერესო, მხიარული და ბედნიერი დღეები გაგრძელდება. ამაზე კი იზრუნებენ ბაღის დირექტორი **ნანა ღიბრაძე,** პედაგოგები: **ია აბჟანდაძე, ლელა ჭანკვეტაძე და სოფო გეწაძე.**

„თერჯოლა“

შპს „თერჯოლა“
გამომცემელი **ვალერიან გოგიაშვილი** **599 92 49 75**
მთავარი რედაქტორი **დავით კლდიაშვილი** **599 91 24 14**
სარედაქციო კოლეგია
რეგისტრაციის №53/5/ბ-22
გამოდის თვეში ორჯერ
კორესპონდენტები:
ჟ. ცხადაძე—558 90 82 55
მ. ცქიფურიშვილი—555 28 11 41
ელ-ფოსტა: **gazetiterjola@gmail.com**
აიწყო და დაკაბადონდა რედაქციის კომპიუტერულ ცენტრში
მისამართი:
ქ. თერჯოლა, კოსტავას ქუჩა №2
დაიბეჭდა ქუთაისის შპს „ხომლი ენ“-ის სტამბაში ქუთაისი, ჭავჭავაძის გამზ. №33
ჩვენი რეკვიზიტები:
სახელმწიფო ხაზინა
TRESGE22
ანგარიში
8 2633 7499
ს/კ 231948872